ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N 04

9.01.2026წ.

დ. ლენტეხი

მიმდინარე წლის დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო კომისიის სხდომა, სხდომას ესწრებოდნენკომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი, კომისიის წევრები: ზური ონიანი, ამირან ქურასბედიანი; კომისიის მდივანი მაყვალა ბენდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა კომისიას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხით:

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია N 46 ლენტეხის საარჩევნო კომისიის განკარგულება N17/2025 ბ/გ ,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" საკრებულოს წევრის გოგი ონიანის ადგილმონაცვლის თემურ ლიპარტელიანის არჩევის შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია N 46 ლენტეხის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N17/2025 ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პარტიული სიისთ არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის (პარტიული სიით N02) გოგი ონიანის ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის (პარტიული სიით N 26) საკრებულოს წევრობის კანდიდატის თემურ ლიპარტელიანის ცნობის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღეს გადაწყვეტილება: საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის,,ზ" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის,77-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 154-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის წერილის N 97-97253579 საფუძველზე ცნობილ იქნას: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პარტიული სიით არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის გოგი ონიანის (პარტიული სიაში N02) ნაცვლად მისი ადგილმონაცვლედ თემურ ლიპარტელიანი,(პარტიულ სიაში N 26). საკითხი გატანილ იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის სხდომის თავმჯდომარე: /თ. გასვიანი/